

პასუხისმგებლობა “FACEBOOK”-ის პოსტზე მესამე პირის მიერ დაბოვებულ სიძულვილის ენის შემსველ კომენტარზე

წინათქმა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე: „სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ“¹, მნიშვნელოვან განმარტებას შეიცავს სოციალურ ქსელში განხორციელებულ აქტივობასთან დაკავშირებით. საერთაშორისო სასამართლომ მართებულად მიიჩნია პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, მის მიერ გასაჯაროებულ პოსტზე მესამე პირთა უფლებადამრღვევი კომენტარის განთავსების გამო. ამ შემთხვევაში, პოსტის ავტორის უმოქმედობა გამოიხატა კომენტარების კონტროლისგან თავის შეკავებაში, რაც სასამართლოს შეხედულებით, მის ვალდებულებას წარმოადგენდა.

იმის გათვალისწინებით, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა გამოხატვის თავისუფლების ნაწილში საერთაშორისო გამოცდილებას ეყრდნობა, ხოლო, კანონმდებლობა საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტების ინტერპრეტირების შესაძლებლობას ითვალისწინებს, ცალკე გამოსაყოფი თემაა დღევანდელ რეალობაში რა შედეგი დადგებოდა, ანალოგიური შემთხვევა საქართველოში რომ მომხდარიყო.

წინამდებარე ნაშრომი შესაბამისად განსაზღვრავს: სასამართლო პრაქტიკას, სადაც გამახვილებულია ყურადღება იმ ძირითად ასპექტებზე, რაც საერთაშორისო სასამართლოს მსჯელობაში მოცემული, პრეცედენტის განვითარების მნიშვნელობასა და ქართულ რეალობაში არსებულ პრობლემაზე.

¹ გადაწყვეტილება: 45581/15, 02.09.2021.

1. საქმის მოკლე მიმოხილვა²

1.1. საფრანგეთის სასამართლოების გადაწყვეტილებები (შიდა კანონმდებლობაზე დაყრდნობით)

განმცხადებელი, ჟულიენ სანჩესი, არის საფრანგეთის მოქალაქე, რომელიც 1983 წელს დაიბადა და ცხოვრობს ბიუკერში³ (საფრანგეთი). მოვლენათა განვითარების დროისათვის, ბატონი სანჩესი – ქალაქ ბიუკერის ამჟამინდელი მერი და ოქსიტანიის რეგიონული საბჭოს ეროვნული კრების თავმჯდომარე – „ფრონტ ნასიონალის“ (FN) სახელით კენჭს იყრიდა საპარლამენტო არჩევნებზე ნიმის ოლქში. ფ.პ. იმ დროისათვის ევროპული პარლამენტის წევრი (MEP) და ნიმის მერის მოადგილე, მისი ერთ-ერთი პოლიტიკური ოპონენტი იყო. 2011 წლის 24 ოქტომბერს ბატონმა სანჩესმა მისი საჯაროდ ხელმისაწვდომი “facebook”-ის ანგარიშით (თავის კედელზე, რომელსაც პირადად მართავდა), გამოაქვეყნა პოსტი ფ.პ.-ის შესახებ: „რამდენადაც FN-მა დროულად ჩაუშვა მისი ახალი ნაციონალური ვებგვერდი, თანავუგრძნოთ ნიმის UMP-ის [სახალხო მოძრაობის გაერთიანება] MEP-ს [ფ.პ.], რომლის ვებგვერდი, თუმცა დღეს უნდა ჩაშვებულიყო, ავბედით სამ წულს გამოსახავს მთავარ გვერდზე ...“. სხვა მომხმარებელმა, ს.ბ.-მ, დაწერა შემდეგი კომენტარი: „ამ დიდებულმა კაცმა ნიმი ალჟირად აქცია, აღარ არსებობს ქუჩა ქაბაბებისა და მეჩეთების გარეშე; ნარკორეალიზატორები და პროსტიტუტები ზეობენ, არაა გასაკვირი, რომ მან ბრიუსელი აირჩია, შარიათის წესრიგის ახალი დედაქალაქი... UMPS-ის [UMP-ისა და სოციალისტური პარტიის ამაღლგამა] წყალობით, ეს ფრენებისა და სასტუმროებისგან მაინც გვიცავს... მიყვარს კლავ მედის ეს უფასო ვერსია... მადლობა [ფ.] და ვკოცნი ლეილას ([ლ.])... ბოლოს, ბლოგი, რომელიც ჩვენს ცხოვრებას ცვლის...“ სხვა მომხმარებელმა, ლ.რ.-მ, დაწერა სამი სხვა კომენტარი მუსლიმების შესახებ.

² შეგნებულად, ძირითად ტექსტთანაა გათანაბრებული და თარგმნილი ქართულ ენაზე.

³ “Beaucaire”.

2011 წლის 25 ოქტომბერს ფ.პ.-ის პარტნიორმა ლ.ტ.-მ შეიტყო ამ კომენტარების შესახებ. მიიჩნია, რომ პირდაპირ და პირადად იყო, მისი ხედვით, „რასისტული“ გამონათქვამებით თავდასხმული, მაშინვე გაემართა სილამაზის სალონში, რომელსაც მისი პირადი ნაცნობი ს.ბ. მართავდა. ს.ბ.-მ დაუყოვნებლივ წაშალა საკუთარი კომენტარი.

2011 წლის 26 ოქტომბერს ლ.ტ.-მ წერილობით მიმართა ნიმის საჯარო პროკურატურას, ბატონი სანჩესის, ს.ბ.-ისა და ლ.რ.-ის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის დაწყების მიზნით, ბატონი სანჩესის „facebook“-ის გვერდზე გამოქვეყნებული შეურაცხყოფილი კომენტარების გამო. 2011 წლის 27 ოქტომბერს ბატონმა სანჩესმა მისი „facebook“-ის ანგარიშის კედელზე გამოაქვეყნა შეტყობინება, რომლითაც მომხმარებლებს მოუწოდებდა „გაეკონტროლებინათ [საკუთარი] კომენტარები“, მაგრამ არ შეხებია უკვე განთავსებულ კომენტარებს.

ბატონი სანჩესი, ს.ბ. და ლ.რ. დაბარებულ იქნენ ნიმის სისხლის სამართლის სასამართლოში განმცხადებლის „facebook“-ის ანგარიშის კედელზე განთავსებული სადავო კომენტარებთან დაკავშირებით, სიძულვილისა და ძალადობის წაქეზების თაობაზე ბრალდებაზე საპასუხოდ. კერძოდ, ლ.ტ.-ის მიმართ, წარმომავლობის ან სპეციფიკური ეთნიკური ჯგუფის, ეროვნების, რასისა თუ რელიგიის კუთვნილების ან არანეგრობის საფუძველზე. 2013 წლის 28 თებერვალს სისხლის სამართლის სასამართლომ ბატონი სანჩესი, ს.ბ. და ლ.რ. ცნო დამნაშავეებად და თითოეულ მათგანს დააკისრა ჯარიმის სახით 4 000 ევროს გადახდა. ს.ბ.-სა და ბატონ სანჩესს აგრეთვე დაევაღათ, სოლიდარულად და პირადად, გადაეხადათ 1 000 ევროს ოდენობით თანხა ლ.ტ.-ისათვის, სამოქალაქო მოთხოვნის ფარგლებში, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. სასამართლომ დაასკვნა, რომ საკუთარი ინიციატივით საჯარო კომუნიკაციის განხორციელებით მოსაზრებების მიმოცვლისთვის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით და შეურაცხყოფილი კომენტარების 2011 წლის 6 დეკემბრამდე გამოსაჩენად დატოვებით, ბატონმა სანჩესმა ვერ უზრუნველყო მათი გავრცელების დროულად აღკვეთა და ამდენად იყო ბრალეული და, შესაბამისად, მთა-

ვარი სამართალდამრღვევი, როგორც ონლაინ საჯარო საკომუნიკაციო სივრცის „მომწყობი“. ბატონმა სანჩესმა და ს.ბ.-მ წარმოადგინეს საჩივარი. ს.ბ.-მ შემდგომ გამოიხმო საჩივარი.

ნიმის სააპელაციო სასამართლომ დამნაშავედ ცნობის განაჩენი ბატონი სანჩესის წინააღმდეგ ძალაში დატოვა, ჯარიმა კი 3 000 ევრომდე შეამცირა. ასევე დაავალა მას ლ.ტ.-ისათვის 1 000 ევროს გადახდა. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სისხლის სამართლის სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ კომენტარები ცალსახად შეეხებოდა განსახილველ პირთა ჯგუფს, კერძოდ ისლამური რწმენისა, და მუსლიმური მოსახლეობის ქალაქ ნიმში დანაშაულთან და საფრთხეებთან ასოცირება სავარაუდოდ გამოიწვევდა ამ ჯგუფის მიმართ მიუღებლობისა და სიძულვილის ძლიერ განცდას. მეტიც, მან განმარტა, რომ **“facebook”-ის კედლის საჯაროდ შექმნით, ბატონმა სანჩესმა იტვირთა პასუხისმგებლობა განთავსებული კომენტარების შინაარსზე** – რომელიც, მის მიერ საკუთარი პოზიციის გამართლებისთვის გაცემებული განცხადებების თანახმად, მიიჩნედა გამოხატვის თავისუფლების დარღვევად – და მისი, როგორც პოლიტიკური პირის სტატუსი, მოითხოვდა ამ მხრივ კიდევ უფრო დიდ ყურადღებას. განმცხადებელმა სამართლებრივი ნაწილი გაასაჩივრა საკასაციო სასამართლოში, რომელმაც 2015 წლის 17 მარტის განჩინებით უარი თქვა საჩივრის განხილვაზე.

1.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება (საერთაშორისო კანონმდებლობაზე დაყრდნობით)

სასამართლოს დაკვირვებით, ნიმის სისხლის სამართლის სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელმა, რომელმაც საკუთარი ინიციატივით გამოიყენა საკომუნიკაციო საშუალება საჯაროდ ხელმისაწვდომად, შეურაცხყოფელი კომენტარები განთავსებდა და ექვსი კვირის განმავლობაში გამოსაჩენად დატოვა, მათი გავრცელების შეწყვეტისთვის საჭირო ზომების მიღების გარეშე. ნიმის სააპელაციო სასამართლომ, გაიზიარა რა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია, აღნიშნა, რომ განმცხადებელმა, როგორც

არჩეულმა წარმომადგენელმა და საჯარო პირმა, **შეგნებულად გახადა მისი “facebook”-ის ანგარიშის კედელი საჯარო**, რითაც მეგობრებს მისცა შესაძლებლობა განეთავსებინათ კომენტარები და, ამგვარად, იკისრა პასუხისმგებლობა განთავსებული განცხადებების შინაარსზე. ასევე აღინიშნა, რომ განმცხადებელმა **არ იმოქმედა სათანადოდ სადავო კომენტარების გავრცელების შესაწყვეტად** და ასევე საკუთარი პოზიციის გამართლებისას აღნიშნა, რომ ასეთი კომენტარები ექცევა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, და ამიტომაც განზრახ დატოვა ისინი საკუთარი “facebook”-ის კედელზე.

კომენტარების ბუნებასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ისინი აშკარად უკანონოა. როგორც სისხლის სამართლის სასამართლომ, ისე – სააპელაციო სასამართლომ, დაადგინეს, რომ, ერთი მხრივ, კომენტარები ცალსახად შეეხებოდა განსახილველ პირთა ჯგუფს, კერძოდ ისლამური რწმენისა, და მუსლიმური მოსახლეობის ქალაქ ნიმში დანაშაულთან და საფრთხეებთან ასოცირება, მათი „ნარკორეალიზატორებად და პროსტიტუტებად“ მოხსენიება, რომლებიც „ზეობენ“, „ნაძირლები, რომლებიც მთელი დღე მხოლოდ ნარკოტიკებს ასალებენ“, ან ვინც „თეთრკანიანების მანქანებს ქეებს უშენენ“, სავარაუდოდ გამოიწვევდა მიუღებლობისა და სიძულვილის ძლიერ განცდას ისლამური რწმენის ხალხთა ჯგუფის მიმართ ან იმ პირთა მიმართ, ვინც ასეთად აღიქმება; ხოლო მეორე მხრივ, გამოხატვა „ვკოცნი [ლ.-ს]“, რომელიც ლ.ტ.-ს მიემართება, რომელიც ასოცირდება ფ.პ.-თან, ნიმის მერის მოადგილესთან, რომელიც წარმოჩინდებოდა მუსლიმთათვის ქალაქის გადაცემის და, შესაბამისად, საფრთხის ხელშემწყობად, რათა ლ.ტ.-ის მიერ საკუთარი თავის მუსლიმური მოსახლეობისადმი მიკუთვნების საფუძველზე (მისი სახელიდან გამომდინარე), ქალაქის გარდაქმნასთან ერთად, მის წინააღმდეგ სიძულვილი და ძალადობა გამოეწვია.

სასამართლომ გაიმეორა, რომ ტოლერანტობა და ყველა ადამიანის მიმართ ღირსების თანასწორი პატივისცემა წარმოადგენს დემოკრატიული, პლურალისტური საზოგადოების საფუძველს. შესაბამისად, აუცილებლობად უნდა მივიჩნიოთ ყოველგვარი გამო-

ხატვის ფორმის დასჯა ან თუნდაც პრევენცია, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ახალისებს ან ამართლებს სიძულვილს შეუწყნარებლობის ნიადაგზე, იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი „ფორმალბა“, „პირობები“, „შეზღუდვები“ ან „ჯარიმები“ უნდა იყოს მისაღწევი მიზნის პროპორციული.

ელექტორალურ კონტექსტში, როდესაც მხარეები სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლების ფართო ფარგლებით, რასისტული ან ქსენოფობიური დისკურსი ხელს უწყობს სიძულვილისა და ძალადობის წაქეზებას. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ პოლიტიკოსების განსაკუთრებული პასუხისმგებლობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში აღნიშნულია „სიძულვილის ენის“ შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის R(97)20 რეკომენდაციაში და რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის მიერ.

ს.ბ.-ისა და ლ.რ.-ის მიერ განთავსებული შეურაცხყოფელი კომენტარების გამოკვლევის შედეგად, სასამართლომ დაადგინდა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ გაკეთებული დასკვნები სრულად დასაბუთებულია. გამოყენებული ენა ცალსახად იწვევდა სიძულვილსა და ძალადობას. სასამართლოს პოზიციით, პირადი დარტყმები შეურაცხყოფით, დაცინვითა თუ დამცირებით, რომელიც მიმართულია მოსახლეობის კონკრეტული ნაწილის მიმართ, ანაც სიძულვილისა და ძალადობისკენ მოწოდება პირის წინააღმდეგ, რომელიმე რელიგიისადმი კუთვნილების საფუძველზე, საკმარისი იმისათვის, რომ სახელმწიფომ პრიორიტეტად განსაზღვროს ასეთი ქცევის წინააღმდეგ ბრძოლა, როდესაც გამოხატვის თავისუფლება უპასუხისმგებლოდ რეალიზდება და ის ძირს უთხრის განსახილველი მოსახლეობის ჯგუფების ან ნაწილის ღირსებას ან თვით უსაფრთხოებას.

რაც შეეხება განმცხადებლის პასუხისმგებლობას მესამე პირების მიერ განთავსებულ კომენტარებზე, სასამართლომ განმარტა, რომ **კომენტარები უნდა განვიხილოთ ადგილობრივი პოლიტიკური დებატის კონტექსტში, კონკრეტულად საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით.** თუმცა მართალია სასამართლო პოლიტიკური დებატის კონტექსტში გამოხატვის თავისუფლებას მაღალ მნიშვნე-

ლობას ანიჭებს და მიაჩნია, რომ ძალზე ძლიერი მიზეზებია საჭირო პოლიტიკური ენისადმი შეზღუდვების დასაწესებლად, და ასევე საარჩევნო კამპანიისას ყოველგვარი მოსაზრებისა თუ ინფორმაციის თავისუფალი ცირკულაცია უნდა იყოს ნებადართული, ის მაინც ადგენს, რომ წინამდებარე საქმეში არსებული კომენტარები ერთმნიშვნელოვნად უკანონო იყო. მეტიც, სასამართლომ შენიშნა, რომ **განმცხადებელი არ გამტყუნებულა გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობის გამო, განსაკუთრებით პოლიტიკურ კონტექსტში, თუმცა ის ბრალეულია მისი “facebook”-ის ანგარიშის კედელზე განთავსებული კომენტარებისადმი სათანადო ყურადღებისა და რეაგირების განუხორციელებლობაში.** სასამართლომ დაასკვნა, რომ როგორც სისხლის სამართლის სასამართლომ, ისე სააპელაციო სასამართლომ განმცხადებლის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული არგუმენტაცია რელევანტურ და საკმარის მიზეზებს დააფუძნა, კონვენციის მე-10 მუხლის მიზნებისთვის.

რაც შეეხება განმცხადებლის მიერ მიღებულ ზომებს, სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მისი პასუხისმგებლობა რამდენიმე ფაქტორით განსაზღვრა. განმცხადებელმა შეგნებულად შექმნა მისი **“facebook”-ის ანგარიშის კედელი საჯარო, რითაც მის მეგობრებს მისცა კომენტარების განთავსების საშუალება. ამიტომაც, მას ჰქონდა მოვალეობა, ეკონტროლებინა განთავსებული განცხადებების შინაარსი.** ამასთან, სისხლის სამართლის სასამართლომ აღნიშნა, რომ შეუძლებელია განმცხადებელს არ სცოდნოდა, რომ მისი ანგარიში სავარაუდოდ მოიზიდავდა პოლიტიკური ბუნების კომენტარებს, რომლებიც პოლემიკური ხასიათის იქნებოდა და ამდენად, უფრო მეტი სიფრთხილით უნდა ყოფილიყო გაკონტროლებული. სააპელაციო სასამართლომ, იმავე სტრიქონებთან ერთად, შენიშნა, რომ მისი, როგორც პოლიტიკური პირის სტატუსი უფრო დიდ ყურადღებას მოითხოვდა მისგან. სისხლის სამართლის სასამართლომ განსაკუთრებულად შენიშნა, რომ ლ.რ.-ის კომენტარები ხელმისაწვდომი იყო განთავსებიდან **ექვსი კვირის მანძილზე.** ასეთ პირობებში, სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის სასამართლოსა და სააპელაციო

სასამართლოს არგუმენტაცია განმცხადებლის მიერ მისაღები ზომების შესახებ, რელევანტური და საკმარისია კონვენციის მე-10 მუხლის მიზნებისთვის.

კომენტარების ავტორების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ის დადგენილია. განმცხადებელი მიჩნეულ იქნა პასუხისმგებელ პირად, 1982 წლის 29 კანონის 93-3 მუხლის შესაბამისად, როგორც ონლაინ საჯარო საკომუნიკაციო სივრცის მომწიკობი. ეროვნულმა სასამართლომ დაადგინეს განმცხადებლის პასუხისმგებლობა, რომელიც ს.ბ.-ისა და ლ.რ.-ის ნაცვლად კი არ ყოფილა გასამართლებული – რომელთაგან ორივე, რა თქმა უნდა, დამნაშავედ იქნენ ცნობილი – არამედ სპეციფიკური ქცევის გამო, როგორც “facebook”-ის ანგარიშის კედლის მფლობელი. წინამდებარე საქმეში არსებული კომენტარები ერთმნიშვნელოვნად უკანონო იყო და არღვევდა “facebook”-ის სარგებლობის წესებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამიტომაც ეროვნულმა სასამართლოებმა საკუთარი გადაწყვეტილებები რელევანტურ და საკმარის საფუძვლებს დააყრდნეს.

განმცხადებელთან მიმართებით ეროვნული საქმისწარმოების შედეგების შესახებ, სასამართლომ დაადგინა, რომ მას დაევა 3 000 ევროს ოდენობით ჯარიმის გადახდა. სასამართლომ განმარტა, რომ იმ სასჯელის გათვალისწინებით, რომელიც მას შეიძლებოდა მისჯოდა და სხვა შედეგების არარსებობის გამო, განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არ ყოფილა არაპროპორციული.

საქმის სპეციფიკური გარემოებების მიხედვით, სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება, რომლის თანახმად განმცხადებელი ცნობილ იქნა დამნაშავედ მის მიერ მისი “facebook”-ის ანგარიშის კედელზე, რომელსაც ის საარჩევნო კამპანიისას იყენებდა, სხვების მიერ განთავსებულ უკანონო კომენტარების წაშლის დროულად განუხორციელებლობის გამო, ეფუძნებოდა რელევანტურ და საკმარის მიზეზებს, მოპასუხე სახელმწიფოს შეფასების თავისუფლების არესთან მიმართებით. შესაბამისად, **გასაჩივრებული ჩარევა წარმოადგენდა „აუცილე-**

ბელს დემოკრატიული საზოგადოებისთვის“. ამდენად, კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

2. პრეცედენტის განვითარება

სამი მთავარი მიმართულება, რომელმაც შესაძლოა განვითარება ჰპოვოს მოცემული განმარტებიდან გამომდინარე: ა) საჯარო პირის ვალდებულება სოციალურ მედიაში; ბ) პოსტის საჯაროობის მნიშვნელობა და კონტროლის მექანიზმი; გ) კომენტარის ავტორთა პასუხისმგებლობის საკითხი.

2.1. საჯარო პირის ვალდებულება სოციალურ მედიაში

საჯარო პირის თავისუფლების შეზღუდვა არ შემოიფარგლება მხოლოდ თმენის ვალდებულებით⁴. აღნიშნულის პარალელურად, საჯარო პირმა სოციალური მედიის თავისი ანგარიშით იმგვარად უნდა ისარგებლოს⁵, რომ ამით არ წაახალისოს სიძულვილის ენა. შესაბამისად, ნებისმიერი პოზიციის დაფიქსირებისას მას მეტი წინდახედულობა მართებს. ამ მხრივ, სასამართლოს მსჯელობა აბსოლუტურად ლოგიკური და საჯარო პირის არსთან შესაბამისობაშია. თუმცა, აღნიშნული იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს საჯარო პირს ინდივიდუალური მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობა გააჩნია.

2.2. პოსტის საჯაროობის მნიშვნელობა და კონტროლის მექანიზმი

მეორე საკითხი თავის მხრივ, ორ დეტალად შეიძლება დავეყოს: ა) საჯაროობის მნიშვნელობა და ბ) სხვისი პოზიციის კონტროლის შესაძლებლობა. პირველ შემთხვევაში ლოგიკურად ვხვდებით პა-

⁴ პარალელი შეიძლება გაივლოს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლთან.

⁵ თუნდაც იგი თავად არ მართავდეს მას.

სუბსიდირების სათანადო წინაპირობას, თუ ადგილი ექნა პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებას⁶. განსახილველ საქმეში დახურულ ჯგუფში⁷ ან პირთა შეზღუდული წრისთვის რომ ყოფილიყო მომჩივანის მიერ პოსტი გავრცელებული, მაშინ აღნიშნულ ფორმალურ ასპექტს მიენიჭებოდა პირველ რიგში ყურადღება⁸.

შედარებით პრობლემურია საკითხი, რომელიც კომენტარების კონტროლის მექანიზმს ეხება. მომჩივანს პასუხისმგებლობა დაეკისრა იმ საფუძველზე, რომ მან არ უზრუნველყო კომენტარების კონტროლი. შესაბამისად, ეს მსჯელობა ნიშნავს, რომ სანჩესი (მომჩივანი) ვალდებული იყო, წაეშალა (ან ფართო მასისთვის არ გაეხადა საჯარო) კომენტარები. ერთი შეხედვით ლოგიკურად შეიძლება აღვიქვათ ეს დათქმა, მაგრამ ასეთ დროს პრობლემას ვაწყდებით სხვა კონტექსტში: რამდენად შეიძლება ჰქონდეს პირს (თუნდაც, საჯარო პირს) უფლება, რომ მესამე პირთა კომენტარებზე თავად გადაწყვიტოს, რომელია სიძულვილის ენის შემცველი⁹ და რომელი სამართლებრივად შესაბამისობაში მყოფი? თუ ასეთ დროს ადგილი ექნება ინდივიდუალურ მართლმსაჯულებას, მაშინ ეს ნიშნავს, რომ გამოსატყვის თავისუფლების კონტროლის შესაძლებლობა სოციალური ქსელის ანგარიშის განმკარგავის პრეროგატივა გახდება. ამგვარმა ქმედებამ კი შესაძლებელია, კიდევ უფრო ნეგატიური შედეგები წარმოშვას.

ერთადერთი ლოგიკური განმარტება (პრეცედენტული განვითარებისთვის) იქნებოდა, რომ აშკარად უცენზურო ან/და სიძულვილის ენის შემცველი ტექსტი წაეშალა პოსტის ავტორს, რომელსაც ამ პოსტისა და შესაბამისად, პოსტის გასწვრივ არსებული კომენტარების კონტროლის მექანიზმი გააჩნია, თუმცა აქაც მნიშვნელოვანია სათანადო პრაქტიკის ჩამოყალიბება და გარკვეული კონსენ-

⁶ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 5 მარტის №ას-810-2019 განჩინება.

⁷ არ უნდა აღვიქვათ ფორმალურად დახურული ჯგუფი, არამედ, მისი შინაარსისა და რაოდენობის გათვალისწინებით.

⁸ შეად., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 9 დეკემბრის №4/ა-889-19 დადგენილება.

⁹ ასევე, უხამსი, შეურაცხყოფელი და სხვ.

სუსის მიღწევა, თუ რომელი ტექსტია უცენზურო ან/და სიძულვილის ენის შემცველი.

2.3. კომენტარის ავტორთა პასუხისმგებლობა

კომენტარის ავტორთა პასუხისმგებლობა ისედაც არ იწვევს კითხვის ნიშანს, მაგრამ მნიშვნელოვან განვითარებას პოვებს მტკიცების ტვირთის კონტექსტში: თუ სრული პასუხისმგებლობა ეკისრება პოსტის ავტორს (კომენტარებზე კონტროლის მექანიზმის მქონე პირს), მაშინ მისი მხრიდან უმოქმედობამ შესაძლებელია, რომ კომენტარის ავტორთა დასაბუთებას შეუწყოს ხელი. მით უმეტეს, თუ საქმე საჯარო პირის პოსტს ეხება.

მეტი თვალსაჩინოებისთვის მივყვეთ მაგალითს: გიორგი არის საჯარო პირი და მონაწილეობას იღებს საპარლამენტო არჩევნებში. დათო არის გიორგის ამომრჩეველი და შესაბამისად, გიორგის ოპონენტის მიმართ არ აქვს სიმპათია. დათო გამოირჩევა აგრესიული საუბრის მანერით. გიორგის პოსტზე, რომელიც ეხებოდა ოპონენტთა კრიტიკას (კორექტულ ფარგლებში), დათო წერს სიძულვილის ენის შემცველ პოსტს და ასევე უხამსი სიტყვებით ლანძღავს ოპონენტს.

თუ მოყვანილი პრაქტიკიდან ამოვალთ, გიორგია ის პირი, რომელსაც ეკისრება დათოს მიერ განთავსებული კომენტარის წაშლა. თავის მხრივ, დათო ელოდება, რამდენად წაშლის ეს უკანასკნელი მის კომენტარს. თუ გიორგი არ წაშლის დათოს კომენტარს, მაშინ ერთგვარი დასაბუთების შესაძლებლობა მიეცემა დათოს, რომ მისი კომენტარი არ წარმოადგენდა უფლების დამრღვევი შინაარსის მქონეს, რადგან იმ პირის მიერ არ წაშლილა, ვისაც აღნიშნული ვალდებულება ეკისრებოდა.

3. შესაბამისობა ქართულ რეალობასთან

მოცემული შემთხვევა უცვლელად ვერ აისახება ქართულ რეალობაში, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში არ გვაქვს სიძულვილის ენის აკრძალვის შესახებ კანონმდებლობა სათანადო დონეზე მოწეს-

რიგებული. მით უმეტეს, როცა საკითხი სოციალურ მედიას ეხება, საჯარო პოსტიდან გამომდინარე მოთხოვნის დაყენება (განზოგადებულ კონტექსტში), თითქმის შეუძლებელია. საილუსტრაციოდ შეიძლება სამი შემთხვევის განხილვა: ა) უხამსობა; ბ) სიძულვილის ენა; გ) დისკრიმინაცია.

3.1. უხამსობა სოციალურ მედიაში

მიუხედავად იმისა, რომ უხამსობა კანონითაა შეზღუდული¹⁰, უფლების დაცვის სტანდარტი დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული¹¹. მედიასამართლის სივრცეში შედარებით მოწესრიგებადია საკითხი მაუწყებელთან მიმართებით¹², განსაკუთრებით, თუ უხამსობა კვეთს ბავშვთა უფლებებს¹³. ინტერნეტ სივრცეში კი სათანადო მოწესრიგება არ გეხვდება (მათ შორის, არასრულწლოვანის უფლებების კუთხით¹⁴). მხოლოდ ზოგად ნორმებზე მითითება კი არ წარმოადგენს საკითხის გადაჭრის საუკეთესო ალტერნატივას.

უხამსობის გათვალისწინებით, სასამართლო პრაქტიკაში წვრილმანი ხულიგნობის შემთხვევას ვაწყდებით¹⁵. ის, თუ რამდენად მიზანშეწონილია წვრილმანი ხულიგნობის ამ დონეზე განხილვა, ცალკე მსჯელობის საგანია. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოცემულ პრეცედენტზე დაყრდნობით დაახლოებით ანალოგიური მექანიზმის (პოსტის ავ-

¹⁰ იხ. მაგალითად, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹¹ იხ., ჯორბენაძე ს., სოციალური მედიის სამართალი, თბილისი, 2019, 121-122.

¹² იხ., საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის №668/18 გადაწყვეტილება.

¹³ იხ., საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2021 წლის 15 აპრილის №გ-21-18/236 გადაწყვეტილება.

¹⁴ იხ., ხიდშელი ს., ბავშვთა უფლებების დაცვა მედიაში – დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირების მნიშვნელოვანი ასპექტი, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2020, 297-300.

¹⁵ იხ. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 9 დეკემბრის №4/ა-889-19 დადგენილება.

ტორის პასუხისმგებლობა კომენტარის კონტროლის გამო) გატარება (მოთხოვნის დაყენება), ჩვენს რეალობაში არ გვხვდება.

რაც შეეხება წვრილმან ხულიგნობას: თუ ამ ინსტიტუტიდან გამომდინარე უხამსი კომენტარის ან/და პოსტის საკითხზე ვიმსჯელებდით, მაშინ მიმართვის სავალდებულოობის წინაპირობა იქნებოდა ყურადსაღები¹⁶. მიუხედავად აღნიშნულისა, წვრილმანი ხულიგნობით დაკვალიფიცირებით ინსტიტუტის მოწესრიგება, საკითხის არამართებული გზის არჩევა იქნებოდა.

3.2. სიძულვილის ენა სოციალურ მედიაში

კიდევ უფრო ფართო პრობლემაა სიძულვილის ენის შემთხვევაში. გარდა იმისა, რომ საკითხს ცალკეულ შემთხვევაში ესაჭიროება დაკვალიფიცირება, თუ რა წარმოადგენს სიძულვილის ენას, არ გვხვდება პრაქტიკა, რომელიც ამ საკითხს სათანადოდ გადანყვეტდა. თავისთავად, სოციალურ მედიაში განხორციელებულ აქტივობასთან მიმართებითაც ანალოგიურ შემთხვევას ვაწყდებით.

3.3. დისკრიმინაცია სოციალურ მედიაში

დისკრიმინაციის შემთხვევაში, უფლების დაცვა პირს სპეციალური კანონის საფუძველზე შეუძლია¹⁷. მეტი დასაბუთებისთვის რთული შემთხვევის განხილვაა შესაძლებელი: ვთქვათ, პირმა დისკრიმინაციული განცხადება გააკეთა ზოგად კონტექსტში (არ დააკონკრეტა პიროვნება): შესაბამისი რასის მიმართ. ასეთ დროს, ის, თუ რამდენად აქვს შესაძლებლობა ამ რასის წარმომადგენელ პირს მოთხოვნა დააყენოს სასამართლოში, კითხვის ნიშნებს ჰბადებს.

¹⁶ როგორც ამ საქმეში, საფრანგეთში მოხდა. პარალელის გავლებაა შესაძლებელი გერმანულ კანონმდებლობასთან, სადაც ცილისწამებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა რომ დაეკისროს პირს, მიმართვა მნიშვნელოვანია წინაპირობაა.

¹⁷ იგულისხმება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ლოგიკურად, ასეთი მოთხოვნა დასაშვები უნდა იყოს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363² მუხლის 1-ლი ნაწილი პირდაპირ განსაზღვრავს სიტყვებს: „ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს“.

დისკრიმინაციის შემთხვევაში ვხვდებით სახალხო დამცველის მხრიდან მიმართვის შესაძლებლობასაც. ამ დათქმაში ფიზიკური პირზე არაა გამაზვიებელი ყურადღება¹⁸. ამდენად, თუნდაც საჯარო პირი იყოს დისკრიმინაციული ინფორმაციის გამავრცელებელი, ასეთ მოთხოვნას მის მიმართ სახალხო დამცველი ვერ დააყენებს. აღნიშნული მაგალითი ერთგვარი დასაბუთებაა, რომ დისკრიმინაციის ნაწილში კანონმდებლობა მეტად საჭიროებს დახვეწას.

ბოლოთქმა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ავითარებს სოციალურ მედიაში პირის აქტივობის უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის ფარგლებს. ერთი მხრივ, დგას გამოხატვის თავისუფლების რეალიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, ვაწყდებით პირის ვალდებულებას, მაქსიმალურად აკონტროლოს თავისი ანგარიში (კედელი) და მის მიერ საჯაროდ განთავსებულ პოსტზე დატანილი კომენტარი. ტერმინში „კონტროლი“ არ მოიაზრება ფართო დისკრეცია. ამდენად, იგი აუცილებლად მიზანთან უნდა მოდიოდეს შესაბამისობაში.

რაც შეეხება ქართულ რეალობას, ამ მხრივ, ჩვენი კანონმდებლობა დახვეწას საჭიროებს. ცალსახად პასუხისმგებლობის დაკისრება პოსტის ავტორისთვის, რათა მან არ წაშალა (არ შეზღუდა) უფლების დამრღვევი კომენტარები პოსტის გასწვრივ, არ იქნებოდა მართებული. ამდენად, გამოსავალს წარმოადგენს ან ახალი კა-

¹⁸ „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „თ1“ ქვეპუნქტი. ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363² მუხლის 1¹ ნაწილი.

ნონის მიღება, ან არსებულ საკანონმდებლო ნორმებში¹⁹ ცვლილებები შეტანა.

¹⁹ იგულისხმება რამდენიმე ნორმა, რომელიც თემატიკიდან მოვა შესაბამისობაში განსახილველ საკითხთან.